5 აგვისტო 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 1 მარტის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი

სამუშაო ჯგუფის სხდომას ესწრებოდნენ ჯგუფის წევრები:

ბრძანება ძალაშია 2022 წლის 1 მარტიდან.

განსახილველი საკითხი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების პირველადი ვარიანტი

„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის #385 ბრძანებით განსაზღვრული წეისის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 96-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე ფინანსთა სამინისტრომ გვაცნობა 2023-2026 წლების ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები და მაკროეკონომიკური პროგნოზები(მომართვა64697-04-03-2-202207141749,14/07/22) შესაბამისად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსმა დავით ნიშნიანიძემ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი.

ბატონ დავით ნიშნიანიძის მიერ აღინიშნა, რომ მსოფლიოში მიმდინარე შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით (რუსეღ- უკრაინის ომი) რთულია მომავალი წლების ბიუჯეტის პარამეტრების პროგნოზირება. მიუხედავად ამისა, არსებული საბიუჯეტო პროცესის შესაბამისად, საფინანსო სამსახურის მიერ შემუშავებული იქნა მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი. დოკუმენტში სხვა ინფორმაციასთან ერთად განსაზღვრულია 2023-2026 წლებში ბიუჯეტიდან დაფინანსებულ პრიორიტეტებზე და ძირითად პროგრამებზე ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

სამუშაო ჯგუფმა მოიწონა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების პირველადი ვარიანტი და ამ დოკუმენტით განსაზღვრული პრიორიტეტების და პროგრამების ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

აღინიშნა, რომ დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზების შემთხვევაში, შემდგომში შესაძლებელი იქნება გადაიხედოს 2023-2026 წლების პრიორიტეტების და პროგრამების ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

საბიუჯეტო პროცესის შემდგომი წარმართვის მიზნით სამუშაო ჯგუფის მიერ მხედველობაში იქნა მიღებული საფინანსო სამსახურის უფროსის წინადადება რომ:

- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მოწონების შემდგომ საფინანსო სამსახურმა პროგრამების განმახორციელებელ დარგობრივ სამსახურებს, ა(ა)იპ-ებს და შპს-ებს გაუგზავნოს საბიუჯეტო განაცხადის ფორმები.

- მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე პროგრამების განმახორციელებელმა შესაბამისმა დარგობრივმა სამსახურებმა, ა(ა)იპ-ებმა და შპს-ებმა საფინანსო სამსახურს საბიუჯეტო განაცხადის შევსებული ფორმები წარუდგინონ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით დადგენილი ასიგნებების ზღვრული მოცულობების ფარგლებში. ამასთან, ზღვრული მოცულობის ზემოთ ასიგნებები შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას საბიუჯეტო განაცხადის ფორმით განსაზღრული წესის შესაბამისად. კერძოდ, მოთხოვნილი გაზრდილი დაფინანსება დასაბუთებული უნდა იქნას პროგრამის ინდიკატორის გაზრდილი სამიზნე მაჩვენებლით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი (კომისიის თავმჯდომარე)
იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, (სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი)
დავით ნიშნიანიძე